



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე



კ. ერისთავი

ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე [22. I (3. II). 1889, სოფ. სალომინაო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, - 12. III. 1975, თბილისი], ქირურგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1950). მედ. მეცნ. დოქტორი (1926), პროფესორი (1929), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1914 დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. I მსოფლიო ომის დროს მოქმედ არმიაში მსახურობდა. 1918-იდან მუშაობდა საქართველოში. 1928-41 (1931-მდე თსუ-ში) განაგებდა ზოგადი ქირურგიის, 1941-50 - საფაკულტეტო ქირურგ., ხოლო 1949-60 - ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრებს თბილ. სამედ. ინ-ტში. 1938-41 იყო თბილ. რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, 1941-50 - თბილ. სამედ. ინ-ტის, 1948-50 - საქართვე.

ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის ინ-ტის, 1950-74 კი - ექსპერ. და კლინ. ქირურგ. ინ-ტის დირექტორი. 1951-55 ხელმძღვანელობდა საქართვე. მეცნ. აკად. ბიოლოგიისა და მედ. განყ-ბას. 1957-72 იყო საქართვე. ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნ. საბჭოს თავ-რე. ე-მა საქართველოში დანერგა გულ-სისხლძარღვთა, ფილტვების, საყლაპავი მილის, თავის ტვინისა და სხვ. ოპერაციები. ასევე ითვლება სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად. დიდი დამსახურება მიუძღვის ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის დარგების განვითარებაში. იკვლევდა ინფიცირებული ჭრილობის, ჩირქოვანი პლევრიტის, ღვიძლის ექინოკოკის, წყლულოვანი დაავადების, სანაღვლე გზებისა და სხვ. ქირურგ. მკურნალობის მეთოდებს. თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა სისხლძარღვთა ტრანსპლანტაციის,

ინდუცირებული სიმსივნის განვითარების საკითხები. შეიმუშავა პოსტტრანსფუზიული გართულებებისა და დამწვრობის მკურნალობის მეთოდი და სხვ. სისხლძარღვთა აღდგენით ქირურგიაში გამოკვლევებისათვის 1975 მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია (გ. იოსელიანთან, დ. კანდელაკთან და მ. კომახიძესთან ერთად). ე. იყო საქართვე. ქირურგ. საბ-ბის საპატიო თავ-რე, ამიერკავკ. ორი უკანასკნელი მონწევის ცაკის (1931, 1935), საქართვე. სსრ IV მონწევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სოციალ. შრომის გმირი (1966). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბზ.: სწრაფი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს, ტფ., 1926; მოგონება, თბ., 1973; Восстановительная хирургия облитерирующего атеросклероза терминального отдела брюшной аорты и ее дистальных ветвей, Тб., 1968 (თანაავტ.: Д. И. Канделаки, В. С., Крылов).

ლიტ.: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ს., კონსტანტინე ერისთავი, თბ., 1961.
